

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
სავლეთის სახელობის
ფილოსოფიის ინსტიტუტი

ცნობიერების ფილოსოფია ქრესტომათია

შემდგენელი თამარ ცხადაძე



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი 2013 წელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
სავლე წერეთლის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტი

ცნობიერების ფილოსოფია. ქრესტომათია

შეადგინა, თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო თამარ ცხადაძემ

სამეცნიერო რედაქტორი: ლერი მჭედლიშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა: თინათინ კვიციანი

ყდის დიზაინი: თამარ ბასილია

გამოყენებულია რაულ ჰაუსმანის კომპოზიციის „მექანიკური თავი (ჩვენი დროის სული)“ (Mechanischer Kopf (Der Geist Unserer Zeit)) ფოტოსურათი.

© 2013, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ISBN 978-9941-18-132-0

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

შინაარსი

| | |
|---|-----|
| წინათქმა | v |
| ავტორთა შესახებ | vii |
| წინასიტყვაობა: | 1 |
| თამარ ცხადაძე, მეოცე საუკუნის დებატები ცნობიერებისა და სხეულის მიმართებაზე | 1 |
| I. დუალიზმის კრიტიკა | 23 |
| დევიდ არმსტრონგი, დუალიზმი (1968) | 25 |
| გილბერტ რაილი, დეკარტის მითი (1949) | 50 |
| II. ბიპვეიორიზმის კრიტიკა | 65 |
| ჩარლზ ჩიჰარა და ჯერი ფოდორი, ოპერაციონალიზმი და ჩვეულებრივი ენა: ვიტგენშტაინის კრიტიკა (1965) | 67 |
| ჰილარი პატნემი, ტვინები და ქცევა (1968) | 99 |
| III. მატერიალიზმის ფორმები | 123 |
| <i>იგივეობის თემისი</i> | |
| ჯ. ჯ. ქ. სმარტი, შეგრძნებები და ტვინში მიმდინარე პროცესები (1962) | 125 |
| <i>კაუზალური თეორია</i> | |
| დევიდ ლუისი, არგუმენტი იგივეობის თეორიის სასარგებლოდ (1966) | 143 |
| დევიდ არმსტრონგი, ცნობიერების კაუზალური თეორია (1981) | 156 |
| დევიდ ლუისი, ფსიქოფიზიკური და თეორიული იდენტიფიკაციები (1972) | 173 |
| დევიდ ლუისი, გიჟის ტკივილი და უცხოპლანეტელის ტკივილი (1980) | 188 |
| <i>არგუმენტები რედუქციის წინააღმდეგ: ფუნქციონალიზმი, ანთალური მონიზმი</i> | |
| ჰილარი პატნემი, მენტალური მდგომარეობების ბუნება (1967) | 203 |
| დონალდ დევიდსონი, მენტალური ხდომილებები (1970) | 219 |
| ჯერი ფოდორი, კერძო მეცნიერებები (ან: მეცნიერების არაერთიანობა, როგორც სამუშაო ჰიპოთეზა) (1974) | 245 |
| <i>ინსტრუმენტალიზმი</i> | |
| დენიელ დენეტი, ქეშმარიტი მორწმუნეები: ინტენციონალური სტრატეგია და რატომ მუშაობს ის (1981) | 266 |

| | |
|---|-----|
| IV. არარედუქციონისტული მატერიალიზმის და ფუნქციონალიზმის კრიტიკა | 295 |
| <i>ინტენციონალობის პრობლემა</i> | |
| ჯონ სერლი, ცნობიერება, ტვინი და პროგრამა (1980) | 297 |
| ჯერი ფოდორი, რაც მხოლოდ ტვინებს შეუძლიათ სერლის აზრით (1980) | 323 |
| ჯონ სერლი, შინაგანი ინტენციონალობა (1980) | 328 |
| ჯერი ფოდორი, ფიქრის გაგრძელება: ინი და იანი ჩინურ ოთახში (1991) | 333 |
| ჯონ სერლი, ინი და იანი სწორდებიან (1991) | 337 |
| <i>ელიმინაციონიზმი</i> | |
| პოლ ჩერჩლენდი, ელიმინაციონისტური მატერიალიზმი და პროპოზიციული დამოკიდებულებები (1981) | 339 |
| <i>ფსიქოფიზიკური მიზეზშედეგობრიობის პრობლემები</i> | |
| ჯეგვონ კიმი, არარედუქციონისტული მატერიალიზმის მითი (1989) | 368 |
| V. არგუმენტები დუალიზმისთვის: განცდის თვისებრიობა | 395 |
| თომას ნაგელი, როგორია იყო ლამურა (1974) | 397 |
| ფრენკ ჯექსონი, ეპიფენომენური ქვალები (1982) | 414 |
| ფრენკ ჯექსონი, რა არ იცოდა მერიმ (1986) | 428 |
| ჯოზეფ ლევინი, იმის გამოტოვებაზე, თუ როგორია (1993) | 435 |
| სახელთა საძიებელი | 458 |
| საგნობრივი საძიებელი | 461 |

წინათქმა

წინამდებარე ქრესტომატიის სახით ქართველ მკითხველს ვთავაზობთ თანამედროვე ფილოსოფიის ერთ-ერთ ცენტრალურ დარგში – ცნობიერების ფილოსოფიაში – მიმდინარე დებატების განმსაზღვრელი ტექსტების ქართულ თარგმანებს. შერჩეული ტექსტების უმრავლესობა უკვე მყარადაა დამკვიდრებული ანალიზური ფილოსოფიის ანთოლოგიებსა და ქრესტომატიებში და მათთან ნაცნობობა, ანალიზურად ორიენტირებულ ფილოსოფიურ წრეებში მანაც, პროფესიის წევრობის აუცილებელი პირობაა – ფილოსოფიის სპეციალობის თითქმის ყველა სტუდენტი განათლების საბაკალავრო საფეხურზევე ეცნობა მათ.

ქრესტომატიის გამოცემის პროექტი განხორციელდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სავლე წერეთლის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტში. ქრესტომატიაზე მუშაობის საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანი მხარდაჭერისათვის მადლობა ეკუთვნის ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის (ბუდაპეშტი, უნგრეთი) სასწავლო პროგრამების სარესურსო ცენტრის (CRC) სასწავლო კურსების განვითარების საკონკურსო პროგრამას (CDC) – 2005-2006 წლებში მათი სტიპენდიის ხელშეწყობით დავიწყე მუშაობა ცნობიერების ფილოსოფიაში საუნივერსიტეტო კურსის მომზადებაზე და სწორედ ასე ჩაეყარა საფუძველი ქართულ ენაზე ქრესტომატიის გამოცემის პროექტს. წინასიტყვაობის ტექსტზე მუშაობასა და თარგმანების საბოლოო რედაქტირებაში ძალიან დამეხმარა კვლევითი ვიზიტი ფრიბურგის უნივერსიტეტის (შვეიცარია) ფილოსოფიის ფაკულტეტზე. ამ შესაძლებლობისათვის მადლობას ვუხდით შვეიცარიის და კავკასიის აკადემიურ ქსელს (ASCN).

განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის კრებულის სამეცნიერო რედაქტორს, ლერი მჭედლიშვილს, რომელმაც ფასდაუდებელი მუშაობა გასწია თარგმანების რედაქტირებისა და ქართული ტერმინოლოგიის დაზუსტებისათვის. მადლობას ვუხდით გიორგი ხეოშვილს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან საგულისხმო შენიშვნებისათვის წინასიტყვაობის ტექსტთან დაკავშირებით. ასევე მადლობა ლიკა წულაძეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ზოგიერთი თარგმანის რედაქტირებაში შეტანილი წვლილის გამო. ყდის დიზაინისთვის ჰაუსმანის კომპოზიციის გამოყენების იდეას ილიას უნივერსიტეტელ

კოლეგას, თათა ცოფურაშვილს ვუმაღლი. მასვე, როგორც ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, მადლობა ეკუთვნის ქრესტომათიის გამოცემის პროექტის ინიცირებისა და მისი განხორციელების ყველა ეტაპზე მხარდაჭერისათვის.

დასასრულ, მადლობა უნდა გადავუხადო ტექსტების ავტორებს და გამომცემლებს თარგმანების გამოქვეყნების ნებართვისათვის.

თამარ ცხადაძე
თბილისი, 2013

ავტორთა შესახებ

დევიდ არმსტრონგი (David M. Armstrong, 1926) ავსტრალიელი ფილოსოფოსია. ცნობილია თავისი შრომებით მეტაფიზიკასა და ცნობიერების ფილოსოფიაში. 1964 წლიდან პენსიაზე გასვლამდე (1992) იყო სიდნეის უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორი. კრებულში იბეჭდება არმსტრონგის ორი ტექსტი: „დუალიზმი“ და „ცნობიერების კაუზალური თეორია“, რომლებიც მისი წიგნების – „ცნობიერების მატერიალისტური თეორია“ (*A Materialist Theory of the Mind*, London, Routledge & K. Paul, 1968) და „ცნობიერების ბუნება და სხვა ნარკვევები“ (*The Nature of Mind and Other Essays*, Cornell University Press, 1981) – ცალკეულ თავებს წარმოადგენს.

დონალდ დევიდსონი (Donald H. Davidson, 1917-2003) იყო ამერიკელი ფილოსოფოსი, რომელმაც უაღრესად მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ენის ფილოსოფიის, ცნობიერების ფილოსოფიის, ქმედების თეორიის განვითარებაზე მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში. 1881 წლიდან სოცოცხლის ბოლომდე იყო ფილოსოფიის პროფესორი ბერკლის უნივერსიტეტში. კრებულში იბეჭდება დევიდსონის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ტექსტი ცნობიერების ფილოსოფიაში – „მენტალური ხდომილებები“ (1970), რომელიც შესულია მის წიგნში „ნარკვევები ქმედებებისა და ხდომილებების შესახებ“ (*Essays on Actions and Events*, Oxford, Clarendon Press, 1980).

დენიელ დენეტი (Daniel C. Dennett, 1942) ამერიკელი ფილოსოფოსი და კოგნიციური მეცნიერების მკვლევარია; ცნობილია თავისი მოღვაწეობით მეცნიერების პოპულარიზაციისათვის. ფილოსოფიაში მისი განსაკუთრებული წვლილი უკავშირდება ცნობიერების ფილოსოფიის, მეცნიერების ფილოსოფიის, ბიოლოგიის ფილოსოფიის პრობლემებს. არის ტაფტის უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორი და კოგნიციური მეცნიერების ცენტრის თანადირექტორი. კრებულში იბეჭდება დენეტის სტატია „ჭეშმარიტი მორწმუნეები: ინტენციონალური სტრატეგია და რატომ მუშაობს ის“ (1981), რომელიც შესულია მის წიგნში „ინტენციონალური თვალსაზრისი“ (*The Intentional Stance*, Cambridge, Mass., MIT Press, 1987).

ჯეგვონ კიმი (Jeagwon Kim, 1934) კორეელ-ამერიკელი ფილოსოფოსია, რომელიც ცნობილია შრომებით ცნობიერებისა და სხეულის ურ-

თიერთმიმართებასა და მიზეზშედეგობრივ კავშირზე. 1987 წლიდან არის ბრაუნის უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორი. კრებულში იბეჭდება მისი სტატია „არარედუქციონისტული მატერიალიზმის მითი“ (1989), რომელიც შესულია მის წიგნში „თანხლება და ცნობიერება: რჩეული ფილოსოფიური წერილები“ (*Supervenience and Mind: Selected Philosophical Essays*, Cambridge, Cambridge University Press, 1993).

ჯოზეფ ლევინი (Joseph Levine, 1952) ამერიკელი ფილოსოფოსია, რომელიც ცნობილია თავისი შრომებით ცნობიერების ფილოსოფიაში, ენის ფილოსოფიასა და მეტაფიზიკაში; არის ამჟვერსტის მასაჩუსეტსის უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორი. კრებულში იბეჭდება მისი სტატია „იმის გამოტოვებაზე, თუ როგორია“ (1993).

დევიდ ლუისი (David K. Lewis, 1941-2001) იყო ამერიკელი ფილოსოფოსი, რომელმაც უაღრესად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში მიმდინარე დებატებში ენის ფილოსოფიის, ცნობიერების ფილოსოფიის, მეტაფიზიკის, ეპისტემოლოგიისა და ფილოსოფიური ლოგიკის სფეროებში. 1970 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იყო ფილოსოფიის პროფესორი პრინსტონის უნივერსიტეტში. კრებულში იბეჭდება ლუისის სამი სტატია: „არგუმენტი იგივეობის თეორიის სასარგებლოდ“ (1966), „ფსიქოფიზიკური და თეორიული იგივეობები“ (1972), „გიჟის ტკივილი და უცხოპლანეტელის ტკივილი“ (1980), რომელთაგან პირველი და მესამე შესულია მისი „ფილოსოფიური წერილების“ პირველ ტომში (*Philosophical Papers*, vol. 1, Oxford, Oxford University Press, 1983).

თომას ნაგელი (Thomas Nagel, 1937) ამერიკელი ფილოსოფოსია, რომელიც ცნობიერების ფილოსოფიის, პოლიტიკური ფილოსოფიისა და ეთიკის პრობლემებზე მუშაობს. 1980 წლიდან ის ნიუ იორკის უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სამართლის პროფესორია. კრებულში იბეჭდება ნაგელის ყველაზე ცნობილი სტატია „როგორია იყო ღამურა“ (1974), რომელიც შესულია მის წიგნში „მოკვდავთა კითხვები“ (*Mortal Questions*, New York, Cambridge University Press, 1979).

ჰილარი პატნემი (Hilary Putnam, 1926) ამერიკელი ფილოსოფოსი და მათემატიკოსია, რომელიც ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა იყო მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ცნობიერების ფილოსოფიის, ენის ფილოსოფიის, მათემატიკის ფილოსოფიის, მეცნიერების ფილოსოფიის განვითარებაში; ის აგრეთვე ცნობილია სოციალურ-პოლიტიკური აქტივიზმით და სოციალურ და პოლიტიკურ თემებზე პუბლიკაციებით. პატნემი ჰარვარდის უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორია 1965

წლიდან. კრებულში იბეჭდება მისი ორი სტატია: „ტვინები და ქცევა“ (1968) და „მენტალური მდგომარეობების ბუნება“ (1967). ეს უკანასკნელი შესულია მის წიგნში „ცნობიერება, ენა და სინამდვილე. ფილოსოფიური წერილები“ (*Mind, Language and Reality. Philosophical Papers*, vol. II, Cambridge, Cambridge University Press, 1975).

გილბერტ რაილი (Gilbert Ryle, 1900-1976) იყო ბრიტანელი ფილოსოფოსი, ე. წ. „ბუნებრივი ენის ფილოსოფიის“ წარმომადგენელი; მისი მთელი აკადემიური კარიერა ოქსფორდის უნივერსიტეტს უკავშირდება. რაილმა ფართო ფილოსოფიური აღიარება მოიპოვა წიგნით „ცნობიერების ცნება“ (*The Concept of Mind*, London, Hutchinson's University Library, 1949), რომელიც ცნობიერების ფილოსოფიაში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ტექსტი იყო მეოცე საუკუნის 50-60-იან წლებში. სწორედ ამ წიგნის პირველი თავი – „დეკარტის მითი“ – იბეჭდება წინამდებარე კრებულში.

ჯონ სერლი (John R. Searle, 1932) ამერიკელი ფილოსოფოსია, რომელსაც ფართო აღიარება მოუტანა შრომებმა ენის ფილოსოფიაში, ცნობიერების ფილოსოფიაში, სოციალურ ფილოსოფიაში. 1959 წლიდან არის ბერკლის უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორი. კრებულში იბეჭდება მისი ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი სტატია „ცნობიერება, ტვინი და პროგრამა“ (1980); აგრეთვე, მისი პასუხები ამ სტატიის კრიტიკაზე: „შინაგანი ინტენციონალობა“ (1980) და „ინი და იანი სწორდებიან“ (1991).

ჯ. ჯ. ქ. (ჯეკ) სმარტი (John Jamieson Carswell Smart, 1920-2012) იყო ავსტრალიელი ფილოსოფოსი, რომელიც ძირითადად მუშაობდა დროის ფილოსოფიურ პრობლემებზე. სხვადასხვა პერიოდში იყო ფილოსოფიის პროფესორი ავსტრალიის სხვადასხვა უნივერსიტეტში (ადელაიდის, ლა ტრობის, მონაშის, ავსტრალიის ნაციონალური უნივერსიტეტები). კრებულში იბეჭდება მისი სტატია „შეგრძნებები და ტვინში მიმდინარე პროცესები“ (1962).

ჯერი ფოდორი (Jerry A. Fodor, 1935) ამერიკელი ფილოსოფოსი და კოგნიციური მეცნიერების მკვლევარია, რომელიც ცნობილია, როგორც ამ დარგებში ერთ-ერთი გავლენიანი თანამედროვე კვლევითი პროგრამის – ცნობიერების მოდულარულობისა და აზროვნების ენის ჰიპოთეზების – განმავითარებელი და დამცველი. ის 1988 წლიდან რათგერსის უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორია. კრებულში იბეჭდება ფოდორის შემდეგი სტატიები: „ოპერაციონალიზმი და ჩვეულებრივი ენა: ვიტგენშტაინის კრიტიკა“ (1965, თანაავტორი), „კერძო მეცნიერე-

ბები (ან: მეცნიერების არაერთიანობა, როგორც სამუშაო ჰიპოთეზა)“ (1974), ორი კრიტიკული კომენტარი სერლის სტატიებზე – „რაც მხოლოდ ტვინებს შეუძლიათ სერლის აზრით“ (1980) და „ფიქრის გაგრძელება: ინი და იანი ჩინურ ოთახში“ (1991).

პოლ ჩერჩლენდი (Paul Churchland, 1942) ამერიკელი ფილოსოფოსია, რომელიც ცნობილია შრომებით ცნობიერების ფილოსოფიასა და ნეიროფილოსოფიაში. 1983 წლიდან ის სანდიეგოს კალიფორნიის უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორია. კრებულში იბეჭდება მისი სტატია „ელიმინაციონისტური მატერიალიზმი და პროპოზიციული დამოკიდებულებები“ (1981).

ჩარლზ ჩიჰარა (Charles S. Chihara, 1932) ამერიკელი ფილოსოფოსია; მუშაობს მათემატიკის ფილოსოფიისა და ლოგიკის ფილოსოფიის პრობლემებზე. 1963 წლიდან არის ბერკლის უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორი. კრებულში იბეჭდება მისი და ჯერი ფოდორის სტატია „ოპერაციონალიზმი და ჩვეულებრივი ენა: ვიტგენშტაინის კრიტიკა“ (1965).

ფრენკ ჯეკსონი (Frank C. Jackson, 1943) ავსტრალიელი ფილოსოფოსია, რომელიც მუშაობს ცნობიერების ფილოსოფიის, ეპისტემოლოგიის, მეტაფიზიკისა და მეტაეთიკის პრობლემებზე. 1986 წლიდან არის ავსტრალიის ნაციონალური უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორი; აგრეთვე ასწავლის პრინსტონის უნივერსიტეტში. კრებულში იბეჭდება მისი ორი სტატია: „ეპიფენომენური ქვანობები“ (1982) და „რა არ იცოდა მერიმ“ (1986).